შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№8 (9.770)

2 - 11 მარტი 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროში დასუფთავების აქცია გაიმართა

გვ.2

დ ე დ ი ს რ ო ლ ი

გვ.3

საქართველოში

ძლიერმა ქარმა ხელოვნების სკოლას სახურავი გადახადა

გვ.4

შევერცხლილი თმები და მოხუცთა მარტის თვის ფიქრები

გ3.5

„ნებისმიერი მუნიციპალიტეტის გამგეობა და გამგებელი უნდა იყოს ლოკომოტივი და ამ პოლიტიკის გამტარებელი“...



გ3.2

პნევმონიის პირველი ნიშნები ბავშვებსა და მოზრდილებში

გ3. 7

„კახეთის საათი“

C M Y K

ნებისმიერი მუნიციპალიტეტის გამგეობა და გამგებელი უნდა იყოს ლოკომოტივი და ამ პოლიტიკის გამტარებელი...

27 თებერვალს დედოფლისწყაროს კახეთის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი სტუმრობდა. ის შეხვდა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს, სამსახურის უფროსებს და მოისმინა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ანგარიში 2016 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ, ასევე მოისმინა ინფორმაცია 2017 წელს დაგეგმილი პროექტების თაობაზე.

საჯარო შეხვედრას, რომელიც დედოფლისწყაროს გამგეობის შენობაში გაიმართა, საქართველოს პარლამენტის წევრი ირაკლი შიოლაშვილი, სახელმწიფო რწმუნებულის - კახეთის გუბერნატორის მოადგილე - გივი მეტრეველი და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. გამგებელი დამსწრე საზოგადოებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2012-2016 წლების ბიუჯეტზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2012-2017 წლების ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე, 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების გეგმაზე, 2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილ ტრანსფერებსა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2012-2017 ადგილობრივი ბიუჯეტის ადმინისტრაციულ ხარჯებზე ესაუბრა. ანგარიშში ასევე წარმოდგენილი იყო 2015-2016 წლებში შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების ანალიზი, ამ სამუშაოებზე დახარჯული თანხები (ცხრილის სახით) და ინფრასტრუქტურული პროექტები. დასასრულს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ისაუბრა იმ მიღწევებსა და წარმატებებზე, რაც დედოფლისწყაროელებს აქვთ კულტურასა და სპორტში, ასევე სკოლამდელი აღზრდისა და დასუფთავების საკითხებში.



პრეზენტაციის შემდეგ გუბერნატორმა მოკლედ შეაფასა შეხვედრა: „დიდი მადლობა მინდა გითხრათ დღევანდელი დღისათვის, ამ პრეზენტაციისთვის. მინდა აღვნიშნო, რომ ადმინისტრაციული ხარჯები საკმაოდ მოზომილია. დღეს სახელმწიფო დგას ფუნდამენტური გამოწვევის წინაშე – ის ძირითადი ინფრასტრუქტურა, რომელსაც ქვეყანა აქამდე იყენებდა, 20-იანი წლებისაა და მოძველებულია, ამიტომ უნდა მოხდეს გადაიარაღება. 2017 წლის ბოლომდე იგეგმება მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება კახეთში, რომლებიც კახეთს გამოაცოცხლებს და ახალ პერსპექტივებს გაუჩენს მას, გაზრდის ტურიზმის პოტენციალს. მიმაჩნია, რომ სიღნაღი-დედოფლისწყაროს ტურისტული პოტენციალი ახლად უნდა გამოცოცხლდეს. დედოფლისწყაროში არის ფასდაუდებელი ობიექტები, მარტო ვაშლოვანის ნაკრძალი რად ღირს...

ამ ბოლო პერიოდში ჩვენმა ეკონომიკამ ფურუნკული გამოუშვა და ახლა სუფთა ფურცლიდან უნდა დავიწყოთ ქვეყანაზე ზრუნვა. იმ 4,5 მილიარდმა დოლარმა, რომელიც ჩვენ 2008 წლის ომის კომპენსაციისთვის მოგვცეს, რესურსი ამოწურა. დღეს ჩვენ ვართ რეალური ეკონომიკის პირობებში. ამოცანები რთულია, მაგრამ ყველაფერს გავუმკლავდებით სწორი და თანმიმდევრული პოლიტიკის წყალობით. ნებისმიერი მუნიციპალიტეტის გამგეობა და გამგებელი უნდა იყოს ლოკომოტივი და ამ პოლიტიკის გამტარებელი. ნებისმიერმა მოქალაქემ უნდა იგრძნოს, რომ მასზე ზრუნავენ. შეიძლება, ყველა პრობლემა ვერ მოვუგვაროთ ჩვენს თანამემამულეებს, მაგრამ იმისი განცდა ყველას უნდა ჰქონდეს, რომ სახელმწიფო მათია და ყველა სტრუქტურა მათ სამსახურშია“-განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა.

„ძალიან კარგი ინიციატივაა გუბერნატორის მხრიდან რაიონულ დონეზე შეხვედრების ჩატარება. როდესაც მე ვიყავი გუბერნატორი, მაშინ რეგიონულ შეხვედრებს ვატარებდი და იქ განვიხილავდით მუნიციპალიტეტების მიღწევებსა თუ პრობლემებს. კარგია, რომ ადგილობრივი შეხვედრებისა და პრეზენტაციების ინიციატივით გამოდის ირაკლი ქადაგიშვილი და შემდეგ მოხდება იმ პრობლემების ანალიზი, რომელიც კონკრეტულ მუნიციპალიტეტში იჩენს თავს და ასევე მოხდება გამოცდილების გაზიარება“-აღნიშნა დედოფლისწყაროსიღნაღის მაჟორიტარმა დეპუტატმა საქართველოს პარლამენტში ირაკლი შიოლაშვილმა.

მან ასევე ისაუბრა იმ ინიციატივებზე, რომელთა განხორციელებასაც გეგმავს საქართველოს პარლამენტში. ამაზე დეტალურ ინფორმაციას გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

დედოფლისწყაროში დასუფთავების აქცია გაიმართა

2 მარტს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დასუფთავების მასშტაბური აქცია გაიმართა, რომელსაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიც შეუერთდა. აქციის ფარგლებში დასუფთავდა ცენტრალური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, სკოლებისა და ორგანიზაციების მიმდებარე ტერიტორიები, ქალაქის ქუჩები. დასუფთავებაში მონაწილეობა მიიღეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ, ადგილობრივი თვითმართველობის თანამშრომლებმა, მუნიციპალიტეტში არსებულმა ორგანიზაციებმა და კერძო კომპანიებმა. დასუფთავების აქცია შუადღისას დაიწყო და იგი დღის ბოლომდე გაგრძელდა.





ქარმა ხელოვნების სკოლას სახურავი გადახადა

რამდენიმე დღის წინ ძლიერი ქარის გამო პრობლემები შეექმნა კახეთის რეგიონის რამდენიმე მუნიციპალიტეტს, მათ შორის დედოფლისწყაროს. კვირის დასაწყისში ძლიერმა ქარმა ბოძები და ელექტროსადენები დააზიანა, რის გამოც გურჯაანში, ახმეტაში, სიღნაღსა და დედოფლისწყაროში აბონენტებს ელექტროენერგია ხარვეზებით მიეწოდებოდა. წაიქცა მრავალწლოვანი ხეები და ელექტრობოძები.

გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, კონკრეტულად რა ზიანი მიაყენა სტიქიამ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს. გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი **დავით ფხოველიშვილი** ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ დაზარალებული მოსახლეობის არცერთი განცხადება გამგეობაში არ შესულა, შესაბამისად, რაიმე სერიოზულ ზარალზე ადგილობრივ ხელისუფლებას ინფორმაცია არ აქვს.

იგივეს ამბობენ სოფლის ტერიტორიულ ორგანოებში გამგებლის წარმომადგენლებიც. გაზეთი „შირაქი“ რწმუნებულებსაც დაუკავშირდა, ისინი ამბობენ, რომ ხარვეზები იყო ენერგომომარაგებაში, ელექტროსადენები დაწყდა და ზოგგან ბოძები წაიქცა. სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ დედოფლისწყაროს სერვისცენტრის სპეციალისტებმა პრობლემები ოპერატიულად აღმოფხვრეს და მომდევნო დღეებში ქალაქ დედოფლისწყაროს ცალკეულ უბნებს და სოფლებს ელექტროენერგიის მიწოდება ეტაპობრივად აღუდგა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე **სოლომონ ღორაშვილი** ამბობს, რომ სტიქიის შედეგად ქალაქ დედოფლისწყაროში მდებარე ხელოვნების სკოლის შენობის სახურავი დაზიანდა. კვირას ძლიერმა ქარმა ახლადრეაბილიტირებულ შენობას სახურავის ნაწილი გადახადა.

შემთხვევის ადგილზე უკვე იმყოფებოდა გამგეობის ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურების შესაბამისი სპეციალისტები. აღდგენითი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს.

„რადგან მოსახლეობის მხრიდან განცხადებები არ შემოსულა, უნდა ვივარაუდოთ, რომ სერიოზულ დაზიანებებს არც სოფლებში ჰქონია ადგილი. სტიქიის მეორე დილით ინფორმაცია შემოვიდა, რომ ხელოვნების სკოლაში იყო დაზიანება. გავედით ადგილზე, დაითვალა ზარალი, შედგა შესაბამისი ოქმი, და აღმოფხვრის ღონისძიებები დაისახა. მინდა გითხრათ, რომ ამ დროისთვის სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე მიმდინარეობს და სადაცაა დასრულდება. ზარალის აღმოფხვრით სამუშაოებს დედოფლისწყაროში მოქმედი შპს „სერვისი 2007“ ახორციელებს,“ - აღნიშნავს სოლომონ ღორაშვილი.

ილია მარტყოფლიშვილი

დედის როლი საქართველოში

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როდესაც ქართველი ბურჟუაზიის ნანილი იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა და ემიგრაციაში წასულიყო, ერთ-ერთმა ქართველმა თავადმა თავის შვილებს ანდერძი დაუტოვა. ერთ პუნქტში ის ვაჟებს სწერდა, რომ მათ ცოლად აუცილებლად ქართველი ქალები შეერთოთ, ქალიშვილებს კი ნებას რთავდა, ნებისმიერი ეროვნების მამაკაცს გაჰყოლოდნენ ცოლად. გონიერმა მამამ იცოდა, რომ დედა განსაზღვრავს შვილების ეროვნებას, მიუხედავად მათი გვარისა. ჩემს ბავშვობაში არაერთი თანატოლი მახსოვს, რომლებიც ქართული გვარის მიუხედავად, რუსულად გაცილებით კარგად საუბრობდნენ, ვიდრე მშობლიურ ენაზე. მათ ეროვნებით რუსი დედები ჰყავდათ.

ახლახან მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ინტელექტი შვილს დედისგან გადაეცემა. ბუნებრივია, აქ მხოლოდ გენეტიკაზე არაა საუბარი. ოჯახში ქალის-დედის ფუნქცია შვილის აღზრდაა. სნორედ ამიტომაა ნათქვამი, რომ შვილი არა მხოლოდ ოჯახის, პირველ რიგში დედის სარკეა.

ქართველი ქალი ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი ფიგურა არა მხოლოდ ოჯახში, არამედ სახელმწიფოშიც. დედა მოიაზრებოდა როგორც სიცოცხლის საწყისის სიმბოლოდ, ის ასევე გახლდათ ერთგვარი კერპიც, რომლის სიტყვაზეც ბევრი რამ იყო დამოკიდებული. მართალია, დღეს ბევრი ღირებულება გადაფასდა, მაგრამ დედის კულტი საქართველოში კვლავ არსებობს, დედა შვილისთვის არის შეუცვლელი ადამიანი, ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნება მის ცხოვრებაში. შესაძლოა, გარდატეხის ასაკში მოხდეს გაუცხოება დედა-შვილს შორის, შეიძლება ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე შვილმა დედის სურვილის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებიც მიიღოს,(ზოგჯერ ეს საკუთარი დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის დაკმაყოფილებას უფრო ჰგავს, ვიდრე კონფლიქტს მშობელთან), მაგრამ დედის ხატება მთელი ცხოვრების მანძილზე ყველაზე ძვირფასია შვილისთვის. მართალია, არსებობენ უძღები შვილებიც, რომლებიც საკუთარი დედის გინებასაც არ თაკილობენ, მაგრამ იგივე ადამიანები დედის შეგინებისთვის თვალის დაუხამხამებლად მოკლავენ სხვას...

ეს არცაა გასაკვირი. თუ ბიოლოგიურ ასპექტში განვიხილავთ დედა-შვილობის ცნებას, მივხვდებით, რომ მუცლადყოფნის ცხრათვიანი პერიოდი (შვილისა და დედის ერთადყოფნის ეტაპი) მხოლოდ ჭიპლარის გადაჭრით არ მთავრდება. ამ პერიოდში დაწყებული ურთიერთობა, დედის ყველა ფიქრი, განწყობა, საყვარელი მუსიკა აისახება ბავშვზე და გრძელდება მთელი ცხოვრება...

დედა-შვილობა მთელი ფილოსოფიაა, ამოუწურავი თემა, რომელსაც უამრავი ნიუანსი გააჩნია და ახალ-ახალი დეტალებით გვაოცებს.

დედის როლის განსაკუთრებულობა ასახულია ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, ქართულ ენაში. მოვიყვანთ სულ რამდენიმე მაგალითს: საქართველოს მთიანეთში დღესაც შემორჩნილია უძველეს ტრადიციათა გადმონაშთები. ერთ - ერთი ასეთთაგანია „ადგილის დედის“ რწმენა. ხალხს რწმენით, თითოეულ ადგილს - მთას, გორას, ხევს - ჰყავს თავისი „დედა“ (ივ. ჯავახიშვილი). ღრმა აზრია ჩაქსოვილი ქართულ სიტყვაში „დედამიწა“ - ღვთაების მნიშვნელობით (დღევანდელი მნიშვნელობის „დედამიწა“ ძველ ქართულში აღინიშნებოდა სიტყვით „ქუეყანა“). ხალხის მეტყველებაში შემორჩენილია ქალის განსაკუთრებულობის აღმნიშვნელი არაერთი სიტყვა: „გუთნისდედა“, „დიასახლისი“ (მეურნეობაში, მის წარმართვაში უპირატესობის აღმნიშვნელი), „დედაბოძი“ (სახლის მთავარი საყრდენის აღმნიშვნელი), „დედაქალაქი“, „დედააზრი“, „დედაარსი“ და სხვა. ქართველი ხალხის უძველეს რწმენაში შემორჩენილია მზის ქალღმერთის - დიდი დედის, ღმერთების დედის რწმენის კვალი.

ქართველთა მოქცევა, მათი გაქრისტიანებაც ქალთან არის დაკავშირებული. ქართველებს ქრისტიანობის მქადაგებლად, ქვეყნის განმანათლებლად, ახალი რწმენის გამავრცელებლად კაპადოკიელი ტყვე (მას როგორც უცხოტომელს ტყვეს უწოდებენ) ქალი ნინო, მოევლინათ. ქართულ ლიტერაში შემონახული შუშანიკის ამბავი ქართელთათვის ქალის სიმტკიცის სიმბოლოდ იქცა. მეხუთე საუკუნის თხზულების გმირი ქალის მოქმედება დღესაც ცოცხალ მაგალითად გვევლინება. ისტორიამ შემოგვინახა იმ ქართველ ქალთა სახელები, რომელთაც ღრმა კვალი დაამჩნიეს ქვეყნის ცხოვრებას, მის ბედიღბალს. მდგარი სული, სიმტკიცე, გონიერება, უსაზღვრო „ჭირთა თმენა“ თაობიდან თაობამდე სჩვეოდათ ჩვენს წინაპრებს. ჩვენთვის მათი თავგანწირვა მხოლოდ ისტორიული ფაქტების ნუსხა როდია, ეს დიდი ზნეობრივი გაკვეთილებია, რომელნიც ძალას უნდა გვმატებდნენ ჩვენს დღევანდელ პრობლემებთან გასამკლავებლად.

ქალი - მოღვაწე, ქალი შემოქმედი არც თუ იშვიათი იყო შუა საუკუნეების საქართველოს სინამდვილეში.

ისტორია გვიჩვენებს, რომ ქართველი ქალები განსაკუთრებული დიპლომატიური ნიჭით იყვნენ დაჯილდოებულნი. ჩვენამდე მოაღწია ქალთა მიერ წარმატებით შესრულებული არაერთი მისიის ამბავმა.

მე-11 საუკუნის დასაწყისში, საქართველოში ბიზანტიის მომძლავრებული აგრესიის დროს, მეფე ბაგრატ მეოთხის დედა მარიამ დედოფალი მოსალაპარაკებლად კონსტანტინოპოლს გაემგზავრა, „ძიებად მშვიდობისა და ერთობისა“, ბიზანტიის დედაქალაქში იგი შეხვდა ცნობილ ქართველ მოღვაწეს გიორგი მთაწმინდელს. ბიზანტიის კეისართან სამშვიდობო მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა და საქართველომ სასურველი მშვიდობა მოიპოვა. ბიზანტიიდან მარიამმა თავის ძეს საცოლე ჩამოუყვანა იმპერატორის ძმის ბასილის ასული ელენე და კეისრის ნაბოძები კურაპალატის ტიტულიც აახლა.

ქალთა დიპლომატიური მოღვაწეობის იშვიათი მაგალითია თამარ მეფის დროს აჯანყებულ ფეოდალებთან ორი დიდგვაროვანი მანდილოსნის - კრავაი ჯაყელისა და ხვაშაქ ცოქალის მისია. მათ წარმატებით გაართვეს თავი დაკისრებულ საქმეს და საქართველოში შინა აშლილობა დაამშვიდეს.

მსოფლიო ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს თამარ მეფის პიროვნება. ის რაც მისი მეფობის ჟამს გადახდა თავს საქართველოს და რა წარმატებებსაც მისი მეთაურობით მიაღწია ქვეყანამ, ნებისმიერ ვაჟკაც მბრძანებელსაც გაუჭირდებოდა. დავიწყოთ იმით, რომ მეფეთა-მეფე თამარი თავად შეეგებებოდა ხოლმე საომრად შეკრებილ ქართველთ ლაშქარს, ამოწმებდა მის მზადყოფნას. მემატიანე მოგვითხრობს, თუ როგორ მიაცილებდა იგი ბრძოლის ველზე მიმავალ მეომრებს (იხილნა აბჯრითა კეთილთა და პატიოსანთა და მოუწონა აბჯარი და ცხენ-კეთილობა მათნი“), როგორ ლოცავდა ლაშქარს და გადასცემდა მთავარსარდალს „დროშას სვიანად ხმარებულს გორგასლიანს და დავითიანს“. ძნელია მეფეთა-მეფის თამარის ყველა ძლევამოსილი ლაშქრობის ჩამოთვლა. ასეთივე წარმატებული და ღირსეული იყო მისი საგარეო პოლოტიკა, დიპლომატია, მაგრამ ყველაზე ნიშანდობლივი მაინც მისი საშინაო პოლიტიკა იყო. დავუკვირდეთ და ჩავუფიქრდეთ მემატიანის სტრიქონებს: „მის დროს მონასტერსა დალეწასა ვერვინ იკადრებდა, ქარავანს ვერვინ ძარცვავდა, ამერი და იმერი.“ „ქვეყანაში მპარავი, ავისმოქმედი აღარ იყო“... „და იყო მდიდრად ესე სამეფო, რომელ აზნაურის ყმანი მათთა სწორად იმოსებოდეს“ (ლაშა გიორგის ისტორიკოსი).

სარწმუნოებისათვის, ერისათვის თავდადების, მამულისა და რწმენის ერთგულების სიმბოლოა ყოველი ქართველისათვის ქეთევან დედოფლის ნათელი სახე. „გაუტეხელი სიმტკიცე“ უწოდა დედოფლის თავგანწირვას გერმანელმა მწერალმა ა. გრიფიუსმა.

საქართველოს ისტორიაში ქალის მნიშვნელობის დამადასტურებელი კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ზემოაღნიშნული ფაქტები ალბათ საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რა წვლილი შეიტანეს ქართველმა ქალებმა ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და რა დიდ ძალას წარმოადგენდა ქალის ფაქტორი საქართველოს ისტორიაში.

საქართველოს უახლესი ისტორიის ყველა სირთულე უმძიმეს ტვირთად სწორედ ქალის მხრებს დააწვა, რადგან ნებისმიერი ქალი ორმაგი წნეხის ქვეშ აღმოჩნდა. ის გახდა ოჯახის მარჩენალიც, მეუღლეც და დედაც. დღეს კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ სუსტისა და ძლიერის სიმბიოზი ყველაზე მძლავრად სწორედ ქართველი ქალის ფენომენშია გამოხატული.

ჩვენ შემთხვევით როდი შევეხეთ ქალის როლს საქართველოს წარსულში, როდესაც მას ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში შეჰქონდა თავისი ღირსეული წვლილი. იგი საუკუნეთა განმავლობაში იღვწოდა თავისი ქვეყნისათვის, რითაც კი შეეძლო ემსახურებოდა მის მომავალს. ეს უნარი ქართველმა ქალმა დღემდე მოიტანა.

საქართველოს დღევანდელობა, მისი მომავალი ყოველი ქართველისაგან უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს, გვაიძულებს გავიაზროთ თითოეულის ადგილი ახალი, თავისუფალი ქვეყნის მშენებლობაში, სად უნდა ვეძიოთ სულიერი სიმტკიცე უამრავ გადაუდებელ პრობლემათა გადასაწყვეტად, რას უნდა დავეყრდნოთ მომავლის იმედის განსამტკიცებლად? სწორედ წარსულის სურათებში იკვეთება ქართველი ქალის განსაკუთრებული წვლილი ქვეყნის ისტორიაში, მის განვითარებასა და არაერთგზის სასწაულებრივ გადარჩენაში. დღესაც დედამ უნდა იტვირთოს ქვეყნის გადარჩენის ფუნქცია, სწორად უნდა აღზარდოს შვილები, რადგან მომავალ თაობაზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი.

გილოცავთ ქალბატონებო, დედის დღეს და გისურვებთ, ყოფილიყავით ბედნიერი დედები, კმაყოფილები თქვენი შვილების აღზრდითა და წარმატებული მომავლით! დედას მართლაც შეუძლია სასწაულების მოხდენა, პირველი სასწაული ხომ შვილია, რომელსაც ჩვენი წიაღიდან ვბადებთ!

რა შეგვიძლია ჩვენ, შვილებმა გავუკეთოთ დედას? მათი ამაგის გადახდას ვერასდროს შევძლებთ, ამიტომ ყოველ დღე უნდა მივუალერსოთ, ვუთხრათ, რომ გვიყვარს და გადავუხადოთ მადლობა იმისთვის, რომ გვაჩუქა სიცოცხლე!

ინგა შიოლაშვილი

ქალთა დღეების ქრონიკა...

წითელი რევოლუციონერების საამაყო თარიღი, თანამედროვე კალენდარშიც ქალთა საერთაშორისო დღედ არის მონიშნული და უქმეა. ჩვენთან ერთად ქალთა საერთაშორისო დღეს ისვენებს მსოფლიოს არაერთი ქვეყანა.

ქალთა დღესასწაულებს რამოდენიმე წარმოშობის ისტორია აქვს, მათ შორის ამერიკულიც. თუ ევროპაში ქალთა დღის დამკვიდრება კლარა ცეტკინის პოლიტიკურ ცხოვრებასთან არის დაკავშირებული, პეტროგრადში 8 მარტი (ახალი სტილით) რევოლუციის წინმსწრები ბოლშევიკური ღონისძიება გახლდათ. 2011 წელს ობამამ ამერიკაში მარტი ქალთა თვედ გამოაცხადა, 8 მარტის დღესასწაულის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების ათვლის წერტილად კი 1911 წელი გამოაცხადა. ამით ბევრ მითს თუ რეალობას ბევრი კითხვის ნიშანი გაუჩნდა.

- ქალები, რომლებიც მმართველ ორგანოებში სრულიად არაპროპორციული წარმომადგენლობით არიან , ქალები, რომლებიც ოჯახური რეპრესიების ქვეშ იმყოფებიან, ქალები, რომლებიც შვილების აღზრდით დატვირთულები, ზოგჯერ სრულიად არარეალიზებულნი რჩებიან, ქალები, რომლებიც ზოგჯერ მძიმე და შეუსაბამო სამუშაოს ასრულებენ ნაკლებანაზღაურებადი ხელფასით, ქალები, რომლებიც ხშირად ოჯახის რჩენის ერთადერთ წყაროს წარმოადგენენ ,ისინი ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ დღეს.

სად, როდის, როგორ ჩაეყარა საფუძველი ქალთა დღესასწაულებს, ამის თაობაზე ზემოთ მეტ-ნაკლებად მოგახსენეთ,ახლა მოგაწვდით გამოკითხული ქალბატონების მოსაზრებებს ქალთა დღესასწაულების შესახებ, მასზედ, თუ რამდენად უხარიათ მათ ეს დღეები, როგორ ხვდებიან, რამდენად დაცულად გრძნობენ თავს როგორც მოქალაქეები და როგორც მანდილოსნები, თუმცა ჩვენმა დღევანდელმა რესპოდენტებმა სხვადასხვა მიზეზების გამო დახურული ფორმატი ამჯობინეს.

ნინო, **35 წლის, დიასახლისი** – ჩემთვის ქალთა დღეები სასიამოვნო ამბებთან არის კავშირში, მეუღლე და ბავშვები ამ დროს ძალიან მანებივრებენ, ყოველთვის ახალ-ახალ სიურპრიზებს მიწყობენ, ხან მოგზაურობაში მივყავარ საქართველოს მასშტაბით, ხან რესტორანში მეპატიჟებიან, ხანაც სამკაულებს და სუნამოებს მჩუქნიან, როცა რის საშუალება აქვს ჩვენს ოჯახს. რაც შეეხება იმას, თუ როგორ ვგრძნობ თავს ჩემს ოჯახში, როგორც ქალი და როგორც მოქალაქე სახელმწიფოში, თავს ვგრძნობ ძალიან დაცულად და ბედნიერად, არ მაინტერესებს შიდა პოლიტიკური ამბიციები, ჩემთვის მთავარი ჩემი ოჯახური გარემოა, მიმაჩნია, თითოეული ოჯახისგან შედგება სახელმწიფო და როცა ჩვენს ოჯახებში სიყვარული და ერთგულებაა, სახელმწიფოშიც ასევე კარგად იქნება ყველაფერი. მოუთმენლად ველოდები ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად შენგენის ქვეყნებში სამოგზაუროდ წასვლას.

მაკა, **25 წლის, ხელოვნებათმცოდნე**-ჩემთვის ქალთა დღესასწაულები ბევრად მნიშვნელოვანია პირადი ცხოვრების თვალსაზრისით, ჩემი შეყვარებული მანებივრებს ყვავილებით და სუვენირებით, რომლებიც ჩემთვის ძალიან ძვირფასია, ჯერჯერობით ოჯახს ვერ ვქმნით, ეკონომიკური პირობების გამო, მაგრამ თავს ასეც ბედნიერად ვგრძნობ, ვნახოთ, რას მოგვიტანს მომავალი, რომელსაც დიდი იმედის თვალით ვუყურებ. ჩემს ქვეყანაში თავს სრულიად დაცულად ვგრძნობ, ალბათ, არასდროს მომინდება სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად წასვლა, იმდენად მიყვარს ჩემი სამშობლო.

ლია, **50 წლის, ეკონომისტი** – მთელი ცხოვრება მოუთმენლად ველოდები მარტის დადგომას, რატომღაც, ბავშვივით მიხარია ეს თვე, რომელიც ყველაზე მეტად ესადაგება ქალთა ხასიათსა და ბუნებას. ბავშვობაში მამა და ძმა გვანებივრებდნენ მე და დედას, ახლა ჩემს ბიჭებს არ გამორჩებათ ხოლმე, ცდილობენ, არ მაგრძნობინონ მარტოობა. მოვლენ, მესტუმრებიან საჩუქრებით და მილამაზებენ ცხოვრებას, ჩემი აზრით, ეს არის ბედნიერება, ამ სიტყვის განმარტება ინდივიდუალურია, როგორ შეიგრძნობ ნებისმიერ ემოციას, რა თვალით შეხედავ ამა თუ იმ მოვლენას...

თამუნა, **18 წლის, სტუდენტი** - ძალიან მიყვარს ნებისმიერი დღესასწაული, მით უმეტეს ქალების. ჩემს დედიკოს მე და მამა ვახვედრებთ საჩუქრებს, მერე ჩემს მეგობრებს ვხვდები ხოლმე და დღეს ერთად ვატარებთ. ძალიან მიხარია არამარტო დღესასწაულები, არამედ თითოეული დღე, თითოეული წამი სამყაროში. ცხოვრება იმდენად ხანმოკლე და მოულოდნელობებით არის აღსავსე, რომ უნდა დავეშუროთ თითოეულ წამსა და წუთს, რათა ნაყოფიერად გამოვიყენოთ ის.

ქეთი, **33 წლის, ექიმი** – ჩემთვის ამ დღესასწაულებზე ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემი პაციენტების კარგად ყოფნაა, ყველაზე ბედნიერი იმ დღით ვარ, როცა გამოჯანმრთელებულ პაციენტს ბედნიერს ვუშვებ სახლში, დანარჩენი ყველაფერი პირობითია, ჩემი აზრით...

ერთგულო მკითხველო, ძვირფასო ქალბატონებო, გილოცავთ დედის დღეს და 8 მარტს, ვთვლით, რომ დღესასწაულების გარეშეც იმსახურებს თითოეული ჩვენთაგანი ლამაზ და ბედნიერ ცხოვრებას, მთავარია, არ დავიშუროთ ამისთვის ჩვენ სიკეთის გაცემა, არ დავივიწყოთ ჩვენს გვერდში მცხოვრები უმწეო ადამიანები, გვიყვარდეს ერთმანეთი და თითოეული დღე ჩვენ თავად ვაქციოთ დღესასწაულად!

ელზა ხარაშვილი

ქალებზე ამბობენ...

თეთრი, ყვავილებიანი თავშალი სარკმელთან ახლოს დაკიდულ პატარა სარკესთან დიდხანს ისწორა. კაბის საყელო ჯერ გადმოკეცა, მერე გადაკეცა. ასე სჯობსო. სახე კიტრის ნაჭრით წრიული მოძრაობით გაიწმინდა და ღაწვისთავებზე ფერუმარილი მიიტყაპუნა, ტუჩები მიწიმოწია, გეგონება ტუჩსაცხი წაესვა, მაგრამ არ წაუსვამს და მომხედა:

— ახლა ლამაზად ვარ?

— ბებია, მაგის გარეშეც ლამაზი ხარ, — გავუღიმე მასპინძელს. მასპინძელი 100 წლის ზექიე კუპრაძე იყო, აჭარის სოფელ ერგედან. მას ჩემი პროექტის "ას წელს გადაცილებული ადამიანების" ფარგლებში ჩავაკითხე. ეს პირველი ხანდაზმული იყო, ვინც გადაღების წინ გაიპრანჭა.

— ვიცი, შვილო, სულ ლამაზი ვიყავი. — ჩემს რეპლიკას მოაყოლა ზექიე ბებიამ და ცოტაოდენი ეშმაკუნა თვალები ააპარპალა. დამაკვირდა, გულისყურით ვუსმენდი თუ არა და განაგძო: ახალგაზრდობაში ჩემზე ტაციაობა იყო. მთხოვნელი მთხოვნელზე მოდიოდა. მაშინდელი პეწი ახლაც არ დამიკარგავს. მაგრამ ახლა სხვა ასაკში ვარ და სხვანაირად ვარ ლამაზი.

— გეტყობათ, რომ სულ ლამაზი იყავით. — ვუთხარი და თვალები მეც ეშმაკურად ავაპარპალე — ბოლოს, ტაციაობაში ვის გაამარჯვებინეთ?

— ჩემმა ქმარმა გაიმარჯვა, ვერ ვიტყვი. მაშინ აჭარაში წესი იყო, მშობლები გაგათხოვებდნენ. შეიძლება, საქმრო სულ არ მოგწონებოდა, მაგრამ წესს წინ რა დაუდგებოდა?

— ესე იგი, უსიყვარულოდ გათხოვდით, ბებია?

— ეგრე გამოვიდა. მაგრამ მას ვუყვარდი. ხელის გულზე მატარებდა. ქალაქში რო ჩადიოდა, ფერუმარილს გამოაყოლებდა ხოლმე. ასე უყვარდა თქმა, ყველაზე ლამაზი ცოლი მყავს და სულ ფორმაში უნდა იყოსო.

— მართლა ჰყვარებიხართ, ბებო.

— კი, შვილო. პატივსა მცემდა. მეც მალე შემიყვარდა. რომ იცოდე, ნამდვილი ქმარი ცოლზე გვიან უნდა იძინებდეს და ნამდვილი ცოლი ქმარზე ადრე იღვიძებდეს. — თქვა ასწელს გადაცილებულმა ბებიამ და თავშალი ხელებით მოისინჯა, აბა, ხომ არ ჩამომიცურდაო.

— რა საინტერესო რამე თქვით.

— ცხოვრებამ მასწავლა.

— ვხედავ, ქმარში გაგმართლებიათ.

— მართლა კარგი ქმარი მყავდა, ტანადი და ჯანიანი კაცი იყო. ზურგზე ხუთ ყუთ მანდარინს შემოიწყობდა ხოლმე. თამბაქოსაც სულ თვითონ უვლიდა. ხელის გულზე მატარა. ქალს, განა მეტი რა უნდა? — დედაშვილურად ამომხედა.

ზექიე ბებიას გავუღიმე და გადასაღებად ფოტოაპარატი მოვიმარჯვე. მანაც დაინახა თუ არა, რომ მზად ვიყავი, კვლავ სარკმელთან ახლოს დაკიდულ სარკეში ჩაიხედა, საყელო გადმოკეცა-გადაკეცა და თეთრ, ყვავილებიან თავშალზე ხელები კიდევ ერთხელ ჩამოისვა. მერე ტუჩები მიწიმოწია, თითქოს ტუჩსაცხი წაესვა, მაგრამ ახლოც არ მიუკარებია, თვალები პრანჭია გოგოსავით ააპარპალა და მითხრა:

— ლამაზად ვარ?

გამეღიმა: — კი, ლამაზად ხარ.

— ქალი სულ ლამაზი უნდა იყოს. ახალგაზრდობაშიც და ასაკშიც. ახლა კი გადავიღოთ.

გოგა ჩანადირი

დედის დღის ისტორია

ვიღაცამ მითხრა, უკვდავების წყარო არისო. — მერე სად მიგაქვს? — ერთი თვეა, ვასხამ დედიკოს საფლავზე და... — შენ არ დალიე? — არა, ჯერ არა. — რატომ? — იქნებ დედიკო არ გააცოცხლოს, მე რომ დავლიო, აღარ მოვკვდები და ჩემს დედიკოს ვერასოდეს ვეღარ შევხვდები.

გოდერძი ჩოხელი

ყველაზე ტკბილი, ყველაზე ნაზი და ალერსიანი... არ არის რთული იმის მიხვედრა, თუ ვინ არის ასეთი არსება. რა თქმა უნდა – დედა!

ალბათ, ხშირად მოგისმენიათ შემდეგი შინაარსის ფრაზები: „რა საჭიროა სიყვარულის დღე", „როცა გიყვარს ყველა დღე სიყვარულისაა"... და მისთანები. თუმცა რამდენი დღე გასულა ისე, რომ არ მოვფერებივართ, არ გვითქვამს, რომ გვიყვარს და ვამაყობთ მისით. 3 მარტი გვაძლევს კიდევ ერთ შანსს, რომ მოვეფეროთ მათ და დავასაჩუქროთ თუნდაც 1 კონა იის თაიგულით.

ჩვენს ქვეყანაში „დედის დღე" საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა, ზვიად გამსახურდიამ დააწესა. 1991 წელს კი უზენაესი საბჭოს მიერ იქნა დამტკიცებული. 3 მარტით უნდა შეცვლილიყო ქალთა საერთაშორისო დღე- 8 მარტი, მაგრამ ასე არ მოხდა და დღესდღეობით ორივე დღესასწაული ცალ-ცალკე აღინიშნება.

არსებობს მოსაზრება, რომ „დედის დღე" ყვავილებით მოვაჭრეთა გამოგონებაა- ეს სკეპტიკური აზრი რა თქმა უნდა მამაკაცებს ეკუთვნით. თუმცა გერმანიაში ეჭვი ამის შესახებ გამართლებული ჩანს: დღესასწაული, რომელიც იქ 1923 წლიდან აღინიშნება, ფლორისტიკის ბიზნესით დაკავებულთა ინიციატივით დაარსდა.

შევერცხლილი თმები და მოხუცთა მარტის თვის ფიქრები

მარტი სოციალური მუშაკების საერთაშორისო თვეა, რომელიც თეთრმა სახლმა 1984 წელს შემოიღო. ღარიბთათვის სოციალური დაცვის სისტემის შექმნა პირველად მე-17 საუკუნეში ინგლისში სცადეს. ამ სისტემას საფუძვლად დედოფალ ელისაბედის "ღარიბთა კანონი" დაედო, რომლის მიხედვითაც ფინანსური შემწეობა დანესდა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობების გამო, მუშაობა არ შეეძლოთ. მე-19 საუკუნეში ინგლისში სათავე დაედო "განსახლების მოძრაობას", რომელიც ღარიბებისთვის ისეთი მომსახურების მიწოდებას ითვალისწინებდა, როგორიცაა თავშესაფარი, საკვები, ტანსაცმელი, დაწყებითი განათლება. პარალელურად, აშშ-ში, კერძოდ ჩიკაგოსა და ნიუ-იორკში ამოქმედდა "განსახლების მოძრაობა", რომლიც ინიციატორი ჯეინ ადამსი იყო. სოციალურ სამუშაოს, როგორც პროფესიის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა "ქველმოქმედების ორგანიზების საზოგადოებამ", რომელიც 1800-1900 წლები ევროპასა და აშშ-ში გავრცელდა. ვინაიდან საზოგადოებაში არსებობდა მოსაზრება, რომ ზოგიერთი ღარიბი ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში რჩებოდა დამოკიდებული ქველმოქმედებაზე და არ მოიძიებდა სიღატაკიდან თავის დაღწევის საშუალებას, "ქველმოქმედების ორგანიზების საზოგადოებამ" მიზნად დაისახა, შეესწავლა ღარიბთა მდგომარეობა და ესწავლებინა მათთვის სიღარიბესთან ბრძოლის გზები. აშშ-ში ფილადელფიის "ქველმოქმედების ორგანიზების საზოგადოებას" სათავეში მერი რიჩმონდი ჩაუდგა, რომლის ნაშრომებმაც გარდამტეხი როლი ითამაშა სოციალური სამუშაოს პროფესიად ჩამოყალიბებაში.

საქართველოში სოციალურად დაუცველ ადამიანებზე მზრუველობის ინსტიტუტები 1990-იან წლებში შემოვიდა, რომლის შედეგად წარმოიშვა მოხუცთა თავშესაფრები და სათნოების სახლები. იგი ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების პარალელურად განვითარდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი წვლილი ბრიტანულ საქველმოქმედო ორგანიზაციის "ევრიჩაილდის" წარმომადგენლობას საქართველოში მიუძღვის, რომელმაც ბავშვებსა და ოჯახებთან მომუშავე სოციალური მუშაკების გადამზადების პირველი მოდელი შეიმუშავა.

ხშირად ვწერ ძლიერ, საზოგადოებრივ საქმიანობაში რეალიზებულ და გამოჩენილ ადამიანებზე. ამჯერად უბრალო, სოციალურად დაუცველი ადამიანების მდგომარეობით დავინტერესდი. მინდოდა გამეგო, რა უხარიათ, რა სტკივათ სოციალურად დაუცველ ქალბატონებს და რას ნიშნავს ქალთა დღესასწაულები მათთვის?! ისტორიები მართლაც მძიმე მოსასმენია და დარდისა და სევდის გამო მათი წარმოთქმული სიტყვებიც თითქოს გამოფიტულიც, თუმცა ეს ჩვენი რეალობაა, რომელსაც ხანდახან მაინც თვალი უნდა გავუსწოროთ ახალგაზრდებმა. ვნახოთ რას ჰყვებიან ისინი.

80 წლის ქეთო გელაშვილი უიღბლოთა შორის უიღბლო ქალბატონია. ის მეუღლე გარდაცვლილი და შვილმკვდარი დედაა, ამიტომ თვლის, რომ მისთვის სიხარული არც არსებობდა და არც აღარასოდეს იარსებებს. ყველა ცუდს კი, ბავშვობაში დაობლებას მიაწერს.

- სოფელ ვაქირში დავიბადე, მამა სამამულო ომში გარდამეცვალა, დედა მის დარდს გადაჰყვა, მეტად ტანჯული ბავშვობა მქონდა, ობლობამ დამჩაგრა, ერთი ძმა მყავს, ახლაც ცოცხალია. ჩვიდმეტი წლის ვიყავი გარიგებით გავთხოვდი. ჩემი ქმარი ყველმრეწვში მუშაობდა, მე პურის მაღაზიაში გამყიდველად ვიმუშავე 30 წელი. მერე ჩემი ქმარი დააკავეს, 12 წელი მისცეს, ველარ გათავისუფლდა და თორმეტივე წელი ციხეში გაათავა, მეექვსე წელია, გარდაიცვალა, ერთი კარგი დღე არ მახსოვს. ქმარს ვინღა ჩივის, ერთადერთი ვაჟი მომიკვდა. განა მე რამე შეიძლება მიხაროდეს?! ან ჩემს ცხოვრებას აზრი აქვს?! ან რამ გამაძლებინა აქამდე ვერ გამიგია. გოგოც მყავს, ისიც სათნოების სახლში დადის. გვიჭირს. უაღრესად გვიჭირს.

-ყოფილა კარგი რვა მარტი თქვენს ცხოვრებაში?

-არა, არასოდეს. ობლობით ვარ გაზრდილი, რვა მარტი ვის ადარდებდა.

-რას იზამდით, ახალგაზრდა რომ ყოფილიყავით?

-ვიმუშავებდი.

-პენსია გყოფნით საჭირო ნივთების საყიდლად?

-არაფერში, მარტო შეშის ყიდვაში და წამლებში.

-რა გახარებთ?

-არაფერი, 6 წელი შვილი არ მინახავს. შვილმკვდარ დედას კარგი ცხოვრება ექნება, ტანჯული ცხოვრება და ცრემლიანი თვალები, სხვა არაფერი.

-ყოველდღიურად დილით რომ დგებით, რას აკეთებთ?

-არაფერს. ოთახს ვალაგებ.

-ოჯახური გარემო პირიბები როგორი გაქვთ?

-სახლს არა უშავს რა, კარგ მდგომარეობაშია.

-მადლიერი ხართ ვისი?

-ამათი, სათნოების სახლის, აქ რომ მოვდივარ ესაა ჩემი ერთადერთი ნათელი წერტილი. მადლიერი კი არა, გადაჭარბებით მადლიერი ვარ. ესენი მიწყობენ ხელს გადავიტანო ჩემი მძიმე ცხოვრება.

-თქვენ თქვით, რომ ერთი გოგო მყავსო, ის მაინც თუა ბედნიერი?

-ჩემი შვილი ბედნიერი როგორ უნდა იყოს, რომ 16 წელია, ქმრის ლუკმა არ აქვს, დაელუპა, ცოცხალი სატირლები ვართ.

-რა ტრაგიკული ქალი ყოფილხართ? რამდენად ეკლესიური ხართ, დადიხართ ტაძარში?

-სიარულით არ დავდივარ, მაგრამ სანთელ- საკმეველს არ ვაკლებთ უფალს.

-ხვალ რომ დახმარება შემოგთავაზონ, რას ითხოვდით?

-არაფერს, ჩემი ცხოვრება ნოლია, რა უნდა ვითხოვო? არც ვთხოულობ, არც მინდა. რამე რომ მაჩუქოს ვინმემ, მწყინს პირიქით, იმიტომ, რომ მე ტანჯული ცხოვრება გავიარე, ციხე, პატიმრობა, უბედურება. არსებობს სადმე სიხარული თუ არა, ეგიც აღარ ვიცი.

-რას მიაწერთ თქვენი ცხოვრების ჩარხის ასე უკუღმა ტრიალს, ბედისწერას, თუ?

-სიობლემ დამჩაგრა, ობოლი როდის იყო გახარებული, რომ მე გამეხარა. აბა განვლეთ 12 წელი ერთი დღე რომ კარგუნახავი იყო. ან აქამდე როგორ მოვაღწიე?!

ფალიაშვილის 9 ნომერში მცხოვრები 80 წლის თამარ მინდიკაურის დილა ფეხზე ძლივს ადგომით იწყება, გულიც აწუხებს და მუხლებიც. სახლი ცუდ მდგომარეობაში აქვს, თავზე გვენგრევაო, დარდობს. ამბობს, რომ მოხუცებულობამ ისე მოუსწრო, ვერც გაიგო და ამასობაში ყველა შავმა ღრუბელმა ერთიანად მოიყარა მის თავზე. პრობლემები ისე აეხლართა ერთმანეთს, თავს ველარ ართმევს და ნებდება. აი, ესაა მოხუცებულობა თურმე, რომელიც ისე მოგეპარება, რომ თვალის დახამხამებას ვერც მოასწრებ. მძიმე და ტკივილიანია უსუსურობა და პრობლემათა მოუგვარებლობა, სახლის იატაკის თითქმის ნახევარზე მეტი ჩამპალია, ფანჯრები თავისით იმტვრევა, მაგრამ შენ აღარ გაქვს იმდენის საშუალება, რომ გაუძღვე ყველაფერს, მთავარი საზრუნავი კუჭზე გადის, მთავარია გათბე და შიმშილი დაიკმაყოფილო, დანარჩენი ყველაფერი თვითგადარჩენის ინსტიქტით სხვადასხვა ხარისხებში უკან იწევს.

-ბავშვობიდან წვალებაში ვიყავი, დუშეთში მთაში ვცხოვრობდით, მერე გომბორში გადმოვცხოვრდით, დედ-მამას საქონელი ჰყავდა, გაყიდეს, მერე დაიღუპნენ, 7 და-ძმანი ვიყავით, მარტო მეღა ვარ, 25 წლის ვიყავი, რომ გავთხოვდი, პროფესია არ მქონია, ამიტომ ახალგაზრდობის წლები ხან დამლაგებლად ვმუშაობდი, ხან სახლებში..

-ახლა როგორ ცხოვრობთ, ვინ გყავთ სახლში, შვილი?

-გოგო მყავს მხოლოდ, ორი ბავშვი ჰყავს, ქმარი გაცილებულია, გოგო ჩემთან ცხოვრობს.

-შვილი მუშაობს, რითი ირჩენთ თავს?

-აქ სიარულით ვირჩენთ თავს, პენსიას ხომ სულ არ აქვს ძალა, წვალებითაა გოგოც, შვილიშვილი სწავლობს სამრეკლოს კოლეჯში, მამა არ ეხმარება, ჩემი პენსია მიდის შვილიშვილის სწავლაში, ეხლაც გადასახადი უწევს და ჩემი პენსიით უნდა გადავუხადოთ. ერთ თვიანი სიდუხჭირე კიდევ წინ გველოდება. ასე მიდის ჩემი მოხუცებულობა.

-გადასახადს რომ უხდით თქვენ რითი ყიდულობთ ჰიგიენის საგნებს, სარეცხის საშუალებას, საპონს და ათას წვრილმანს?

-ვიკლებ ყველაფერს, შვილო.

-რას ნანობთ თქვენს ცხოვრებაში?

-არ ვიცი.

-რა გახარებთ?

-შვილიშვილები მახარებენ, სხვა არაფერი.

-თუ ყოფილა განსაკუთრებული სამი მარტი ან რვა მარტი თქვენს ცხოვრებაში?

-არა, მთელი ცხოვრება გაჭირვებასა და სიმწარეში მაქვს გატარებული,

-მადლიერი ხართ ვისი?

-ამათი, სათნოების სახლის გოგოების, დირექტორი მარინასი და მეზობლების.

-თქვენი აზრით, რა არის ქალის ბედნიერებისთვის საჭირო?

-რომ იყოს ჯანმრთელად, უზრუნველყოფილი ყველანაირად.

-გაქვთ საშუალება, რომ გაზეთის საშუალებით ხელმძღვანელობას სთხოვოთ რაიმე, რას სთხოვდით უპირველესად?

-სახლის იატაკი სულ დამპალი მაქვს, სინესტეში ვცხოვრობ, მე მას ვერასოდეს გავაკეთებ, თუ რამეა, ამას ვითხოვდი.

-ახალგაზრდობის წლებიდან რას მისტირიხართ, რა დაკარგეთ? ხშირად რაზე ფიქრობთ ხოლმე?

-ვფიქრობ იმაზე, რომ მე ვიყო ჯანმრთელი, რომ ჩემს შვილიშვილებს მივხედო...

82 წლის რუიზან ფიროსმანაშვილი თავის დასთან ერთად ცხოვრობს. და უსინათლოა, მაგრამ ერთმანეთის იმედად გაჰყავთ მოხუცებულობა. თავის უსინათლო დას შვილი და შვილიშვილები ჰყავს, თავად კი გასათხოვარი დარჩა. დღემდე ნანობს, რომ ახალგაზრდობაში არ გათხოვდა და შვილები არ იყოლია. მისტირის გარდაცვლილ და-ძმებს და თავის ბედნიერებას მათ ცოცხლად ყოფნაში ხედავს.

- ხუთი და-ძმანი ვიყავით, ახლა ორნიღა ვართ. მამაჩემი გლეხი იყო, კოლმეურნეობაში მუშაობდა, გვიჭირდა და ამიტომ განათლება ვერ მივიღეთ, ისეთი ღარიბული ცხოვრება გვქონდა, რომ კოლექტივში ქერს ფქვავდნენ, იმით პურს აცხობდნენ. მამას ყოველდღიურად ორ პურს აძლევდნენ. ერთს ჩვენ გვიტოვებდა და ერთს კიდევ თავად იტოვდა. სწავლა გვინდოდა, მაგრამ იმის ფულიც არ გვქონდა, რვეული გვეყიდა, როგორ ვივლიდით სკოლაში? მხოლოდ რვა კლასის განათლება მაქვს. რომ წამოვიზარდე კოლმეურნეობაში მუშაობა დავიწყე. მოწინავე მუშაკი გავხდი, რაიაღმასკომის დეპუტატიც ვიყავი, რაიონის დეპუტატიც, მედლებიც მაქვს მიღებული, ქების სიგელებიც. ხორბლის აღების დროს მინდვრიდან კალოზე მწონავად გადამიყვანდნენ ხოლმე. მე ვწონიდი კოლმეურნეობის ხორბალს. არ მიჭირდა მუშაობა, ნორმალურად ვცხოვრობდით, ჩემი ასეთი შრომით სახლიც ავაშენე. მეგონა არასოდეს გამიჭირდებოდა, მაგრამ ცუდ დროში მომისწრო სიბერემ. ასეთი მოლოდინი არ მქონდა, პენსია იმდენი უნდა იყოს, რომ მოხუცმა თავი შეინახოს. დღეს რაც გვაქვს კი, სულაც არ არის საკმარისი თავის გასატანად.

-თქვენი აზრით, მაინც რა უნდა გაგეკეთებინათ ახალგაზრდობაში, რომ დღეს არ გაგჭირვებოდათ და როდის დაიწყო თქვენს ცხობვრებაში გაჭირვება?

-შევარდნაძის დროს იყო ყველაზე დიდი გაჭირვება.

-რით ცხოვრობთ დღეს, რა გახარებთ?

-დას ჰყავს ყრუ-მუნჯი გოგო, ის გათხოვდა და ულამაზესი ტყუპი გოგოენები ჰყავს, ისეთი ლამაზი ბავშვები არიან, რომ გადაირევით, მათით ვცხოვრობთ, ისინი ახლა მეთერთმეტე კლასში სწავლობენ და თბილისში ცხოვრობენ. ახლა ჩემი და მათთან არის, რადგან ჭირს სოფელში მისი მოვლა, გაზაფხულზე ისევ ჩამოვიყვანთ და ჩემთან იქნება. მარტოობისგან მეც დავილალე.

-ოჯახში რა გიჭირთ ყველაზე მეტად?

-მაგალითად შეშაზე ძალიან ვლონდები ხოლმე, ეხლა შემხვდა, ავიღეთ. პენსია ათი ლარი მოგვიმატეს სოციალურზე კი, დაგვაკლეს, ეს რა მომატებაა?

-რა არის ქალის ბედნიერებისთვის საჭირო და უკან რომ დაატრიალონ ბედის ბორბალი, რას გააკეთებდით?

-ჯანმრთელობაა მთავარი და ის, რომ ყველა დედმამიშვილი სახეზე გვყვავდეს. ეგაა მთავარი ბედნიერება, თორემ ეხლა ჩვენს ცხოვრებას არსებობა ჰქვია. ხან ფანჯარა ჩამეშლება და შესაცვლელია, ხან რა ხდება, ძმა რომ გვერდში მყოლოდა, ხომ გააკეთებდა, მე კი ველარ ვაკეთებ. ჩემი შვილები ჩემი დისშვილიშვილები არიან. ახალგაზრდა რომ ვიყო, გავთხოვდებოდი, შვილებს გავაჩენდი. ვნანობ, რომ გავიხედავ და დავინახავ ვინმეს შვილები ჰყავს, ვიტყვი ხოლმე, მე რატომ არ უნდა მყოლოდა-მეთქი. ზოგს ისეთს ჰყავს, რომ ზედ არ შეეხედებათ, მე კიდევ დავრჩი უშვილოდ. ჩემს თავზე ხშირად ვბრაზობ, ამიტომ ახალგაზრდა გოგოებს ვურჩევ, სანამ გვიან არაა, გინდა ასაკში, 40-45 წლისები იყვნენ, აუცილებლად გათხოვდნენ. გვიანი არ არის.

-მადლიერი ხართ, ვისი რისი?

-ეხლა ამ მთავრობის მადლიერი არა ვარ, ყველაფერი გააძვირეს და აღარ გვყოფნია, შვილო, პენსიებს თუ არ მოუმატეს არაფერი არ გვეშველება, დავიხოცებით ჩვენისთანა ხალხი, რამდესნღა გავუძლებთ?! სათნოების სახლის კმაყოფილი ვარ. ფუფუნებაა, რომ აქ მოვდივართ, ელემენტარულად დაველაპარაკებით ერთმანეთს, ჩემი და არ არის აქ და საათს ვუყურებ ხოლმე, რომ წამოვიდე, თითქოს აქ უფრო კარგად ვარ. მარტოობა ძნელია, ვთბებით და ვლაპარაკობთ.

-თქვენი ოცნება რა არის?

-ჩემი დისშვილიშვილები მე-11 კლასში არიან, მათ ბედნიერებას შემასწრო, იმას ვნატრობ მხოლოდ.

უფალმა ყველას ტკბილი და უზრუნველი მოხუცებულობა მისცეს, ისე, რომ უმწეოთა თავშესაფარებში რაც შეიძლება ნაკლები მოხუცი ყოფილიყოს.

ლალი მეხრიშვილი

ღირსეული ტრიუმფი ღირსეულ სახეობაში

18-19 თებერვალს თბილისში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ძალისმიერ სამჭიდში, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 13 გუნდის 110 სპორტსმენი. ამ მაღალი რანგის შეჯიბრში თავი გამოიჩინა დედოფლისწყაროს სპორტის ცენტრის და საბრძოლო ხელოვნებების დედოფლისწყაროსრეგიონალური ფედერაციის ნაკრები გუნდის 11 მონაწილემ, რომლებმაც პირველად მიიღეს მონაწილეობა გუნდური ნაკრების სახით და პირველივე გამოსვლაზე გუნდური პირველი ადგილიც მოიპოვეს ახალგაზრდულ ნაკრებებს შორის. მათ ერგოთ 18 პირველი და 4 მეორე ადგილი. ასეთი შედეგი საქართველოს არცერთ გუნდს არ დაუდვია დღემდე. „ბიჭებმა მოხსნეს საქართველოს, ევროპის და მსოფლიოს რეკორდები სხვადასხვა დისციპლინაში“ - ასე შეაფასეს მათი გამოსვლა სპეციალისტებმა.

შეჯიბრი მიმდინარეობდა ოთხ დისციპლინაში: 1) ბიცეფსი (სადაც ჩვენმა გუნდმა ვერ მიიღო მონაწილეობა საპატიო მიზეზების გამო), 2) წოლჟიმში, 3) ჩაჯდომი, 4) ამოქაჩვა. ეს დისციპლინები ჯგუფდებოდა ორჭიდის და სამჭიდის სახით და ჯილდოვდებოდა მედლებით, დიპლომებით და ფულადი პრემიებით (უფროსებში).

ვესაუბრებით დედოფლისწყაროს საბრძოლო ხელოვნებების რეგიონალური ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს და შეფ-ინსტრუქტორს, დედოფლისწყაროს სპორტის ცენტრის მწვრთნელს მიხეილ სეხნიაშვილს:

-მიხეილ, გთხოვთ, მოგვიყვეთ ამ შეჯიბრების შესახებ.

- შეჯიბრი უაღრესად შრომატევადი იყო: 19 თებერვალს დილის 7 საათზე გასულები, ოცში გამთენიისას -დილის 4-5 საათზე დავბრუნდით. ვიდრე მონაწილეთა შედეგებზე ვისაუბრებთ, უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი რაიონის გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს, რომელმაც საჭირო ფინანსური და მორალური მხარდაჭერა გაგვიწია. ამ დახმარების გარეშე ძალიან გაგვიჭირდებოდა შეჯიბრზე გამოსვლა. აღსანიშნავი და მისაბაძი საქციელია გულშემატკივრების მხრიდანაც, მაგალითად, ლევან ჩონგურაშვილი, რომელიც აქტიურად არის ჩართული ფედერაციის საქმიანობაში, მთელი დღის განმავლობაში გვერდში ედგა და მორალურად ამხნევებდა გუნდს. ლევანი ძველი სპორტსმენია და კარგად იცის, რა უნდა გაკეთოს სპორტსმენმა შედეგის მისაღწევად. მორალური მხარდაჭერა და თანადგომა სჭირდებათ სპორტსმენებსაც და გუნდის ხელმძღვანელობასაც. გულშემატკივრების მხრიდან ეს დიდ სტიმულს და დადებით განწყობას ქმნის საჭირო მომენტში. გუნდი და ფედერაციის ხელმძღვანელობა დიდ მადლობას ვუხდით ლევანს თანადგომისათვის. აღსანიშნავია სპორტის ცენტრის უფროსის ავთანდილ ხუმარაშვილის თანადგომაც, რამაც გადაწყვიტა ჩვენი ბედი. მან შეუძლებელი შეძლო და ჩვენმა გუნდმაც ღირსეული გამარჯვებით უპასუხა: 11 მონაწილიდან 10 საქართველოს ჩემპიონია. აგრეთვე დიდი მადლობა რეგიონალური ფედერაციის ხელმძღვანელებს.

ახლა, რაც შეეხება შეჯიბრს: პირველი გამოსვლები პატარებმა დაიწყეს წონისა და ასაკის მიხედვით. პირველივე გამოსვლებმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენი გუნდი დიდ წარმატებას მიაღწევდა. ნუკრი ქოზაშვილმა (11 წლის, 38 კგ), რომელიც 10-12 წლიანთა 44 კგ. წონით კატეგორიაში გამოდიოდა, იმედი გადაუწურა ყველა კონკურენტს პირველივე გამოსვლაზე და მარტო პირველი ადგილები კი არ მოიპოვა (3 ოქრო), არამედ, საქართველოს, ევროპის და მსოფლიოს რეზულტატები მოხსნა: ჟიმი - 60 კგ. ჩაჯდომი-60 კგ და ამოქაჩვა -85 კგ. უფრო მეტიც შეეძლო, მაგრამ ამ ეტაპზე მეტი აღარ დაგვჭირდა და წონებს აღარ მოვუმატეთ. ნუკრი ამ შეჯიბრის ყველაზე დაფასებული, საპატიო და ღირსეული მონაწილე იყო: 9 გამოსვლა და 9 წარმატება. გული დაგვწყდა, რომ ბიცეფსის კატეგორიაში ვერ მიიღო მონაწილეობა და 4 ოქრო ვერ წამოვიღეთ. (როცა გუნდმა თავიდან პროგრამა შეიმუშავა, ბიცეფსში გამოსვლაზე უარი ვთქვით, რაც ჩვენი შეცდომა იყო. ამას მომდევნო შეჯიბრზე - 26 მარტს- გამოვასწორებთ.)

მეორე მონაწილე ზურა ნიპომნიშვილი ნუკრის ქვეჯგუფში მოხვდა და, თავისთავად ცხადია, მე-2 ადგილი აიღო: ჟიმი- 40 კგ.

13 წლის მიშიკო აკიმენკო 60 კგ. წონით კატეგორიაში გამოვიდა და საკამოდ კარგი შედეგები აჩვენა: 2 პირველი და 1 მეორე ადგილი, თუმცა უფრო მეტიც შეეძლო. ჟიმში პირველ ადგილს ავიღებდით, მაგრამ მოწინააღმდეგის მონაცემები არ ვიცოდით და მაქსიმუმი 77,5 კგ დავაფიქსირეთ, არადა, მიშიკოს 82,5 კილოგრამიც შეეძლო აეწია, მეტოქემ კი 80 კგ. ასწია და გადაგვისწრო. გულდასაწყვეტია, მაგრამ ამ მომენტმა გადაწყვიტა პირველი ადგილის ბედი. ვფიქრობთ, ამასაც 26 მარტს უეჭველად გავითვალისწინებთ.

ოთარ გავაშელიშვილმა, როგორც ყოველთვის, თავი გამოიჩინა. ის 15-16 წლიანთა 85 კგ. წონით კატეგორიაში გამოდიოდა და სამი პირველი ადგილი მოიპოვა: ჟიმი – 90 კგ. ჩაჯდომი-130 კგ და ამოქაჩვა - 130 კგ.

წარმატებული იყო ილო მოსეშვილიც, რომელმაც 15-16 წლიანთა 60 კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი მოიპოვა.

უაღრესად ნიჭიერი სპორტსმენია ნიკა ბენაშვილი. ის 15 წლიანთა 67 კგ. წონით კატეგორიაში გამოვიდა წოლჟიმში და 110 კილოგრამით პირველი ადგილი მოიპოვა.

გია შაშვიაშვილი 17 წლისაა. ის ახალბედაა, მაგრამ ძალიან მებრძოლი სულის სპორტსმენია. მან 76 კგ. წონით კატეგორიაში ჟიმში 115 კგ აჩვენა და მანაც პირველი ადგილი მოიპოვა.

წარმატებები გვქონდა ჭაბუკების კატეგორიაშიც- 18-19 წლიანები. აქ ვასიკო ჩივაძემ (60 კგ. 19 წლის) ევროპის და მსოფლიო რეზულტატები მოხსნა სამ კატეგორიაში: ჟიმი – 110 კგ. ჩაჯდომი-140 კგ და ამოქაჩვა -170კგ. მას მეტი შეუძლია და დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ოქტომბერში თბილისში გაიმართება, ნუკრი ქოზაშვილთან და მიშიკო აკიმენკოსთან ერთად მსოფლიო ჩემპიონი გახდება.

კლუბ „ლეგიონის“ ღირსეული წარმომადგენელია გიორგი ხუციშვილი. ის, ტრავმის მიუხედავად, წარმატებით გამოვიდა და 2 პირველი ადგილით გუნდი ასახელა: ჟიმი – 122 კგ. და ამოქაჩვა -180 კგ.

გიორგი ქართველიშვილი უკრაინის 2016 წლის შეჯიბრის მსოფლიოს მეორე პრიზიორია ჟიმში. ის გამოვიდა ორ წონით კატეგორიაში (82.5 და 90) და, ტრავმების მიუხედავად, პირველი და მეორე ადგილები მოიპოვა. გუნდისთვის ეს წონითი კატეგორია ბევრს ნიშნავს და მსოფლიო ჩემპიონატზე გიორგიზეც დიდ იმედებს ვამყარებთ.

გამოცდილმა სპორტსმენმა 30 წლის ილო ლაპიაშვილმა 107 კგ. წონით კატეგორიაში, ტრავმების ფონზე, მეორე ადგილი მოგვიტანა, მაგრამ მასზეც დიდ იმედებს ვამყარებთ.

რა თქმა უნდა, ეს, უდავოდ, დიდი შრომის და გამოცდილების ნაყოფია, ეს შრომა და პროფესიული ცოდნა კი ჩადო გამოცდილმა და დამსახურებულმა მწვრთნელმა საბრძოლო ხელოვნების სახეობებში, როგორიცაა კუნგფუ-სანდა, ხრიდოლი (MMA), ძალისმიერი სამჭიდი, კიკ-ბოქსინგი, ჩვენმა თანამემამულე მიხეილ სეხნიაშვილმა, რომელიც მოღვაწეობდა სხვადასხვა ქვეყანაში: რუსეთში, საბერძნეთში და უამრავი ჩემპიონი და სახელოვანი ადამიანი აღზარდა. მიხეილ სეხნიაშვილი ჩვენი ღირსეული თანამამემულეა მწვრთნელის 26 წლიანი გამოცდილებით. ის წიგნში საქართველოსთვის მოღვაწე ემიგრანტებზეშესულია საბერძნეთის ქართული ემიგრანტული ელიტის ასეულში, როგორც მსოფლიო დონის სპეციალისტი.

მიხეილმა 2007-08 წლებში დააარსა დედოფლისწყაროს საბრძოლო ხელოვნებების (კუნგფუ-სანდა, ხრიდოლი(MMA), ძალისმიერი სამჭიდი, კიკ-ბოქსინგი, სავატი (ფრანგული ბოქსი), იოგა და სხვა რეგიონალური ფედერაცია და საბერძნეთიდან დააფინანსა 35 ათასი ევროს ღირებულების სპორტული ინვენტარით.ეს ყველაფერი მან რაიონის ახალგაზრდებისათვის გააკეთა. მანვე საქართველოში პირველად შექმნა საწარმო, რომელიც უშვებს ქართულ სპორტულ ინვენტარს: ტრენაჟორებს და საბრძოლო ხელოვნებისათვის საჭირო სხვა იარაღებს–ლაპებს, დამჭერებს და სხვა. ის მადლობელია, რომ ამ გეგმის გამხორციელებაში მთავრობა დაუდგა გვერდით, როცა მოიგო პროექტი „აწარმოე საქართველოში“. ესეც ერთ-ერთი დიდი ნაბიჯია რაიონისა და რეგიონისათვის სპორტული კუთხით.

მიხეილის დიდი სურვილია, რომ მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში გაიხსნას სპორტული კლუბები, აღიჭურვოს ტრენაჟორებით და სხვა სპორტული ინვენტარით და რაც შეიძლება, მეტი ახალგაზრდა ჩაებას სპორტულ ღონისძიებებში. ამით ბევრი ბავშვი გადაურჩება ქუჩას, სასმელს, უაზროდ დროის ფლანგვას და რამდენი ბავშვი გამოავლენს ტალანტს. თუ ახლა გვიხარია, რომ ამ ვაჟკაცურ სპორტში- ძალისმიერ სამჭიდში გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს, რამდენს შეძლებენ მაშინ, როცა ნაკრებს სოფლის ახალგაზრდობაც შემოემატება და რაიონის ნაკრები ჩამოყალიბდება. ამაზე ღირს და ფიქრება. სასურველი იქნება, თუ ჩვენი თანამემამულეები გვერდში დაუდგებიან, როგორც მორალურად, ისე ფინანსურად. ეს ხომ ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისთვის კეთდება.

კვლავაც წარმატებებს ვუსურვებთ გუნდს და მის მწვრთნელს მიხეილ სეხნიაშვილს!

ნაირა გორაშვილი

შეჯიბრი სკოლებს შორის

11 თებერვალს დედოფლისწყაროს სპორტ-დარბაზში ჩატარდა ფრენბურთი საჯარო სკოლებს შორის. შეჯიბრში ვაჟებს შორის პირველი ადგილი დაიკავა დედოფლისწყაროს პიველმა საჯარო სკოლამ, მეორე ადგილი - სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლამ,

მესამე ადგილი კი ზემო ქედის პირველმა საჯარო სკოლამ.

გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავა დედოფლისწყაროს პირველმა საჯარო სკოლამ,

მეორე ადგილი-ზემო ქედის პირველმა საჯარო სკოლამ.

ია მოსულიშვილი – წარმატებული ძიუდოისტი

ძიუდოს აკადემიის დარბაზში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდა გოგონათა შორის, სადაც ჩვენმა ძიუდოისტმა ია მაისურაძემ, ვაჟა მოსულიშვილის მოსწავლემ (სოფ. ზემო მაჩხაანი)დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრმა საჩუქრად გადასცა კიმონო.

პრიზიორი ია მაისურაძე გამოძახებულია საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში.

პნევმონიის პირველი ნიშნები ბავშვებსა და მოზრდილებში

პნევმონია ინფექციური წარმოშობის დაავადებაა, რომელსაც ფილტვის ქსოვილის ანთება ახასიათებს. მის პროვოცირებას ახდენს ფიზიკური ან ქიმიური ფაქტორები: ვირუსული დაავადებების შემდგომი გართულებები, ატიპური ბაქტერიები (ქლამიდიები, მიკოპლაზმა, ლეგიონელა), ქიმიური აგენტების - მომწამვლელი აირების - ზემოქმედება სასუნთქ სისტემაზე, რადიოაქტიური გამოსხივება, რომელსაც თან ერთვის ინფექცია, ალერგიული პროცესები, ალერგიული ხველა, ფქოდი, ბრონქული ასთმა, თერმული ფაქტორები - გადაცივება ან სასუნთქი გზების დამწვრობა. ასპირაციული პნევმონიის მიზეზი შესაძლოა გახდეს სითხის, საკვების ან უცხო სხეულის შესუნთქვა.

პნევმონიის განვითარების მიზეზი სხვადასხვა პათოგენური ბაქტერიისთვის ქვედა სასუნთქ გზებში გამრავლებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნაა.

ფილტვების ანთების ორიგინალური გამომწვევია სოკო ასპერგილა - ეგვიპტის პირამიდების მკვლევრების უეცარი და იდუმალებით მოცული სიკვდილის მიზეზი. შინაური ფრინველების პატრონებს კი ქლამიდიური პნევმონიით დაავადება ემუქრებათ.

არსებობს პნევმონიის ორი ტიპი: ჰოსპიტალსგარე (აღმოცენდება სხვადასხვა ინფექციური თუ არაინფექციური აგრენტის ზემოქმედებით საავადმყოფოს გარეთ) და ჰოსპიტალური (იწვევს საავადმყოფოში არსებული მიკრობები, რომლებსაც ხშირად ტრადიციული ანტიბაქტერიული მკურნალობისადმი მდგრადობა ახასიათებთ).

პნევმონიის ტიპური ნიშნები მოზრდილებში

პნევმონიის ძირითად სიმპტომს წარმოადგენს ხველა, რომელიც დაავადების დასაწყის სტადიაში მშრალი, შემაწუხებელი და მუდმივია, თუმცა შესაძლოა ზოგჯერ იშვიათიც იყოს. ანთების განვითარებასთან ერთად ხველა სველი ხდება, გამოიყოფა ლორწოვან-ჩირქოვანი (მოყვითალო-მომწვანო ფერის) ნახველი.

ნებისმიერი გაციება 7 დღეზე მეტხანს არ გრძელდება. მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება მწვავე რესპირატორული დაავადების ან გრიპის დაწყებიდან მე-4-7 დღეს ქვედა სასუნთქ გზებში ანთებით პროცესზე მიუთითებს. სხეულის ტემპერატურა შესაძლოა ძალიან მაღალი იყოს და 39-400C-ს აღწევდეს, თუმცა ატიპური პნევმონიისას სუბფებრილური - 37,1-37,50C რჩება. ამიტომ დაბალი სიცხის, ხველისა და სისუსტის დროსაც ექიმს უნდა მიმართოთ. საგანგაშოა ვირუსული ინფექციის მიმდინარეობისას მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ ტემპერატურის ხელმეორედ აწევა.

ფილტვების ანთების ერთ-ერთი ნიშანი მაღალი ტემპერატურის დროს სიცხის დამწევი საშუალებების უეფექტობაა.

პნევმონიის ნიშანი შესაძლოა ღრმა ჩასუნთქვისას ტკივილი და ხველა იყოს. ფილტვების ანთებას ტკივილი არ ახლავს, რადგანაც ფილტვში ტკივილის რეცეპტორები არ არის, მაგრამ პროცესში პლევრის ჩართვა გამოხატული ტკივილის სინდრომს იძლევა. გარდა გაციების სიმპტომებისა, აღინიშნება ქოშინი და კანის სიფერმკრთალე.ზოგადი სისუსტე, გაძლიერებული ოფლიანობა და მადის დაქვეითება ინტოქსიკაციასა და ფილტვებში ანთებითი პროცესის დასაწყისს ახასიათებს. ასეთი სიმპტომების გამოვლენა გაციებისას ან მდგომარეობის გაუმჯობესებიდან რამდენიმე დღის შემდეგ შესაძლოა პნევმონიის პირველი ნიშნები აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ექიმთან ვიზიტი და სრული გამოკვლევების ჩატარება: სისხლის საერთო და ბიოქიმიური ანალიზი, გულმკერდის რენტგენოლოგიური გამოკვლევა, აუცილებლობის შემთხვევაში - კომპიუტერული ტომოგრაფია, ნახველის გამოკვლევა, ანტიბიოტიკებისადმი გამომწვევის მგრძნობელობის განსაზღვრა, ნახველის კვლევა ტუბერკულოზის მიკობაქტერიის გამოსავლენად.

პნევმონიის ძირითადი ნიშნები ბავშვებში

ბავშვებში პნევმონიის მიმდინარეობა რამდენიმე თავისებურებით გამოირჩევა. სხეულის ტემპერატურა 380C-ზე მაღალია, გრძელდება სამ დღეზე მეტხანს და არ ემორჩილება სიცხის დამწევ საშუალებებს. პატარებში სხეულის ტემპერატურა შესაძლოა 37,50C-ს არ აღემატებოდეს. ამასთან, ვლინდება ინტოქსიკაციის ყველა ნიშანი - სისუსტე, ჭარბი ოფლიანობა, მადის დაქვეითება. მცირეწლოვან ბავშვებში (ისევე როგორც ხანდაზმულებში) ტემპერატურული ტალღები ზოგჯერ არ აღინიშნება, რაც თერმორეგულაციის არასრულყოფილებასა და იმუნური სისტემის უმწიფრობას უკავშირდება.

სუნთქვა

აღინიშნება გახშირებული ზედაპირული სუნთქვა: 2 თვემდე ასაკის ჩვილებში სუნთქვის სიხშირე შესაძლოა წუთში 60-ს აღწევდეს, წლამდე ბავშვებში - 50-ს, უფრო მოზრდილებში - 40-ს. ხშირად ბავშვი თვითნებურად ცდილობს ცალ გვერდზე დაწოლას. ზოგჯერ შეინიშნება პნევმონიის კიდევ ერთი ნიშანი - გახდილ მდგომარეობაში გულმკერდზე დაკვირვებისას დაავადებული ფილტვის მხარეს კანის ჩაზნექა ნეკნებს შორის და სუნქვისას გულმკერდის ცალი მხარის ჩამორჩენა. შესაძლოა გამოვლინდეს სუნთქვის რიტმის დარღვევა სუნთქვის პერიოდული გაჩერებით, სუნთქვის სიხშირისა და სიღრმის ცვლილება. ქოშინის დროს პატარა თავის ქნევას იწყებს და სუნთქვის ტაქტს აყოლებს, გამობურცავს ტუჩებს და ბერავს ლოყებს, აღენიშნება ქაფისებური გამონადენი ცხვირ-პირიდან.

ხველა

ყელის ჩაფხაჭნის გამო თავიდან პატარას შეიძლება მხოლოდ წამოახველოს, შემდეგ კი ხველა მშრალი და მტანჯველი ხდება და ტირილის, ჭამის დროს ძლიერდება. მოგვიანებით ხველა ნახველიანი ხდება.

ბავშვის ქცევა

პატარები ჭირვეულობენ, ტირიან, ერღვევათ ძილი, უარს ამბობენ საჭმელზე, აღენიშნებათ დიარეა და ღებინება. ჩვილები ძუძუს აღარ წოვენ.

სისხლის ანალიზი

სისხლის საერთო ანალიზში აღინიშნება მწვავე ანთებითი პროცესისთვის დამახასიათებელი ცვლილებები - ედს-ის მომატება, ლეიკოციტოზი, ნეიტროფილოზი, ლეიკოფორმულის მარცხნივ გადახრა ჩხირბირთვიანი და სეგმენტბირთვიანი ლეიკოციტების გაზრდით. ვირუსული პნევმონიისას ედს-ის მაღალ მაჩვენებელთან ერთად აღინიშნება ლეიკოციტების მომატება ლიმფოციტების ხარჯზე.

ექიმთან დრო¬ულად მიმართვის, ადეკვატური თერაპიისა და შესაბამისი მოვლის შე¬მთხვევაში პნევმონია სერიოზულ გართულებებს არ იწვევს. ამიტომ, როგორც კი იეჭვ¬ებთ ფილტვების ანთებას, სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს.

ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ადმინისტრაცია იუწყება ღვაწლმოსილი მასწავლებლის

თამარ ყოჩიაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

მონატრება

კობა ტატუნაშვილი



„წუთია მართლაც წუთისოფელი“ - მართალი უთქვამთ, თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ, ისე გაგიფრინდება სიცოცხლე ხელიდან...

20 წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, კობა... მთელი რაიონი შეძრა მაშინ ტრაგედიამ, რომელიც არა მხოლოდ ერთი კლასის, არამედ მთელი დედოფლისწყაროს ტრაგედიად და ტკივილად იქცა...

კლასის ბოლო ზარი და გასეირნება, რომელიც ახალგაზრდების ახალი ცხოვრების დასაწყისი უნდა გამხდარიყო, მათი სიცოცხლის დასასრულად იქცა. კობასთან ერთად ავტოავარიას შეეწირა ანა პოპიაშვილის და თინიკო პაპაშვილის სიცოცხლე, და სამივე ყველა ოჯახისთვის განუყოფელ ტკივილად იქცა...

45 დღე იბრძოდა კობა სიცოცხლისათვის, მისი სიცოცხლისათვის ჩვენთან ერთად იბრძოდა მთელი დედოფლისწყაროც, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. დაგვტოვა ჩვენმა სიკეთით სავსე ბიჭმა, რომელმაც სიყვარულიც გამორჩეული იცოდა და მეგობრობაც. ამის დამსახურებაა ალბათ, მის საფლავზე ყოველთვის ბევრი სანთელი და ყვავილი გვხვდება. არ ივიწყებენ კლასელები, ნათესავები, მეგობრები...

20 წელი გავიდა ამ საშინელი ტრაგედიიდან, მაგრამ დრო უძლურია იმ ტკივილთან, რაც შენმა სიკვდილმა მოგვაყენა, მონატრების გრძნობა კი - გაუსაძლისი. ჯერ მხოლოდ 37 წლის გახდებოდი, მაგრამ ბედისწერამ მხოლოდ 17 წლის სიცოცხლე გარგუნა. გვიყვარხარ და გვენატრები, კობა...

უფალს ვთხოვთ, სასუფეველი დაუმკვიდროს შენს სულს.

შენი ოჯახი

ჟორა ღორაშვილი



კაცი, რომელიც დააკლდა სოფელს და ოჯახს-ასე შეაფასა ყველამ მისი გარდაცვალება, ვინც ჟორას იცნობდა. მთელი სიცოცხლე დიდ სიყვარულს, ფანტაზიას და იუმორის გრძნობას დაატარებდი ყველგან, დიდ სითბოს და სიყვარულს აფრქვევდი ირგვლივმყოფთათვის.

ერთი წლის წინ, შენი დაბადების დღეს, დაგვტოვე და გადასახლდი მარადიულ სამყოფელში. დატოვე შენი ოჯახი და ძვირფასი მეუღლე მარგო ფიროსმანაშვილი, კარგი შვილები:მაისო და სულიკო ღორაშვილები, რძალი მანანა მიქელაძე, შვილიშვილები, შვილთაშვილები, რომლებიც შენს გენს აგრძელებენ...

ძალიან, ძალიან გვენატრები ყველას, უსაშველოდ რთული გამოდგა ეს ერთი წელი ჩვენთვის. მოვლენ შენი პატარა შვილთაშვილები, ყვავილებით შეგიმკობენ და სანთლებით გაგინათებენ შენს სამუდამო ბინას-დიდი პაპის საძვალეს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული და დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

დიდი მონატრებით, შენი ოჯახი.

გივი და ლუიზა სესიტაშვილები



უკვე 40 დღე გავიდა, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ, მაგრამ ჩვენ – შვილებს, შვილიშვილებს და ახლობლებს, კარგად გვახსოვს შენი მზრუნველი და კეთილი ბუნება.

ამბობენ ხოლმე, დრო საუკეთესო მკურნალიაო, მაგრამ რაც დრო გადის, უფრო მტკივნეული ხდება შენი მონატრება.

რა დაგვავიწყებს შენს გულთბილ საუბარს, სულ სიკეთისკენ მოგვიწოდებდი. ამბობდი: – ამქვეყნად ისე უნდა იცხოვრო. რომ ყველას უყვარდეო. ალბათ, ამიტომაცაა, რომ დღეს ყველა გულთბილად გიხსენებს და ჩვენც, შენს ვაჟკაცურად განვლილ ნაკვალევს გავყვებით.

მამა, სასწაულების ყოველთვის გვჯეროდა და მართლა ყოფილა. 5 მარტს 40 დღე გაგიხდა, 8 მარტი კი დედას დაბადების დღეა. დედა, გილოცავთ დაბადების დღეს, შენ 80 წლის გახდებოდი. ზაფხულში 6 წელი გახდება, რაც ჩვენთან აღარ ხარ. მოვალთ შენს საფლავზე ყვავილებით და სანთლებით. მოგილოცავთ დაბადების და ქალთა დღეს.

ჩვენო საყვარელო დედა და მამა, ძალიან, ძალიან გვიყვარხართ, არასდროს მოვაკლებთ თქვენს განსასვენებელს სანთელსაკმეველს და ყოველთვის შევთხოვთ უფალს მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს თქვენს სულებს.



დიდი მონატრებითა და სიყვარულით თქვენი
შვილები: ნინო, მაია, ირმა სესიტაშვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები.

მირზა გელოვანი 100 წლისაა...

ბედმა უცნობი გზით გამაქანა,
თქვენ დარჩით შორი, ცაზედაც შორი
და როგორც კარტში აგურის ქალებს,
გქონდათ ქერა თმა და ყელი ბროლის.
მე გპირდებოდით, რომ დავბრუნდები,
რომ თქვენი თმები დამაბრუნებენ,
მაგრამ დღეები, როგორც ქურდები,
ჩემს შეპირებას ანადგურებენ.
და სადმე ტყვია თუ გააცილებს
გულს საშინელი განადგურებით,
თქვენ მაპატიეთ, ჰო, მაპატიეთ,
დანაშაული არდაბრუნების.

ულოცავენ!

ციალა ბოსტოღანაშვილს!

„წუთია წუთისოფელი – დახამხამება თვალისა“ – თქვა მელექსე იოსებ ბაიაშვილმა, თუმცა, წუთებით გაზომილი დრო უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდება ხოლმე. ალბათ, ასე დროის შეჩერებასაც შევძლებთ, თუ ჩვენი კოლეგისა და მასწავლებლის- ციალა ბოსტოღანაშვილის ცხოვრების გზას გადავხედავთ.

ქალბატონმა ციალამ სასკოლო მოღვაწეობის 45 წლიანი ხანგრძლივი და ნაყოფიერი გზა განვლო სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლაში. აქედან 16 წლის განმავლობაში წარმატებით მუშაობდა დირექტორის მოადგილედ სასწავლო აღმზრდელობით დარგში. მან აღზარდა უამრავი თაობა, წარმატებით უძღვებოდა სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს.

ამჟამად ასწავლის ქიმიას და ჰყავს სადამრიგებლო კლასი, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა აქვს. ქალბატონი ციალა არის წესრიგისა და სიმშვიდის ეტალონი. იგი თანაგრძნობითა და თანამშრომლობით გამოირჩევა კოლეგებთან ურთიერთობაში.

ახლახან ციალა ბოსტოღანაშვილს შეუსრულდა დაბადებიდან 70 წელი და მას წლები მხოლოდ სიმპათიურად შეჭაღარავებულ თმაზე თუ შეემჩნევა. იგი ისევ ისეთი შემართებითა და ენერგიით ატარებს გაკვეთილებს, ისევ ისეთი მონდომებულია, როგორც წლების წინ.

ციალა მასწავლებელს კიდევ ერთხელ სულითა და გულით ვულოცავთ ამ საიუბილეო თარიღს. ვუსურვებთ, კვლავაც ახალგაზრდული ენერგიით ელვაწოს მომავალი თაობის აღსაზრდელად. ამავე დროს ვულოცავთ დედისა და ქალთა დღესასწაულებს. ვუსურვებთ ოჯახის, შვილებისა და შვილიშვილების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას.

სოფელ გამარჯვების პროფ. ა. პოპიაშვილის სახელობის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

ყურადღება!

8 მარტს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი უმასპინძლებს **ნუნუ კობაიძის ხსოვნისადმი** მიძღვნილ ტურნირს **ჭადრაკში**. მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერი ასაკის ყველა მსურველს. დასაწყისი 10 საათზე, მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას ქ.№3.

მსურველები დაგვიკავშირდით: ☎ 595090513

პარასკევს, 10 მარტს, იწყება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი ინტელექტუალურ თამაშში „რა? სად? როდის?“ შესარჩევ ტურნირში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საჯარო სკოლების მასწავლებელთა, საჯარო სამსახურებისა და დაწესებულება-ორგანიზაციების თანამშრომელთა გუნდებს – 6 კაცის შემადგენლობით.

მსურველები დაგვიკავშირდით: ☎ 595090513

მადლიერება!

თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა მინდა გადავუხადო შ.პ.ს. პოლიკლინიკა-საავადმყოფოს მთავარ ექიმს **ვანო ნატროშვილს** და საავადმყოფოს მენეჯერს ქალბატონ ხათუნა აგლაძეს ჩემი შვილის მიმართ დიდი ყურადღებისა და დახმარებისათვის. მადლობა მინდა გადავუხადო მთელ მედპერსონალს კარგი მომსახურეობისთვის. ასევე მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს მკურნალ ექიმს ზინა ძელურს და ჩემი შვილის მკურნალს მარინე კვირიკაშვილს. ქალბატონებს მინდა მივულოცო მოახლოებული და 8 მარტი და ვუსურვო ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე თავიანთ ოჯახებთან ერთად.

ლამარა ტოკლიკიშვილი

საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“ დედოფლისწყაროს განყოფილება

2016 — 2017 სასწავლო წელს საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“-ს დედოფლისწყაროს განყოფილება შეხვდა რეაბილიტირებული და აღდგენილი სასწავლო კლას-კაბინეტებითა და ლაბორატორიებით, შევსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რამაც გაზარდა მოზარდი თაობის დაინტერესება პროფესიული სწავლისადმი.

სასწავლებელში ამჟამად ფუნქციონირებს თექის ოსტატის, დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის,ვეტერინარული მომსახურეობის სპეციალისტის, ბუღალტერ-ტექნიკოსის, თმის სტილისტის, კალატოზისა და ტრაქტორისტ- მემანქანის სპეციალობების შემსწავლელი ჯგუფები, რომლებიც წარმატებით გადიან როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სწავლებას. სტუდენტები აქტიურად არიან ჩაბმული სასწავლებლის კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამჟამად მიმდინარეობს აპლიკანტთა საგაზაფხულო მიღება შემდეგ პროგრამებზე:

1. პრაქტიკოსი ექთანი / სწავლების ვადა 17 თვე/
2. ტრაქტორისტ - მემანქანე /სწავლების ვადა 6 თვე/
3. კალატოზი /სწავლების ვადა 6,5 თვე/

ჩარიცხვა ხდება ტესტირების საფუძველზე კონკურსის წესით.სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. 2 ცალი ფოტოსურათი /ზომით 3X4/
2. პირადობის მოწმობის ასლი
3. განათლების მოწმობის ასლი დამოწმებული ნოტარიულად
4. განცხადება /ადგილზე შევსებით /

საბუთების მიღება დაიწყო!

იჩქარეთ!

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ, მობრძანდეთ კოლეჯში შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო,სოფ.სამრეკლო (სოფ.ჯაფარიძე)

☎ 597 19 22 32
599 41 91 17

განცხადი

რეგისტრირებულ კოოპერატივ „სამშობლოს“ პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ.

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელი ხორნაბუჯი.

გადაუდებელი აუცილებლობის გამო (გარდაცვლილი დირექტორის ოთარ გონაშვილის შემცვლელის არჩევა, სამომავლო სამოქმედო გეგმის დასახვა) მოწვეული უნდა იქნას რეგისტრირებულ კოოპერატივ „სამშობლოს“ (ს/კ 228521418) წარმომადგენელთა კრება, რომელიც ჩატარდება ქ.დედოფლისწყაროში, ცხრა ძმის ქუჩა №1-ში მიმდინარე წლის 10 მარტს, 12 საათზე.

დღის წესრიგი:

1) რეგისტრირებულ კოოპერატივ „სამშობლოს“ დირექტორის არჩევა (მომხსენებელი ილია ნატროშვილი)

2) რეგისტრირებულ კოოპერატივ „სამშობლოს“ მომავალი სამოქმედო გეგმის განსაზღვრა. (მომხსენებელი ილია ნატროშვილი).

წარმომადგენელთა კრების წევრების დასწრება სავალდებულოა.

დირექტორი: ილია ნატროშვილი.

ყურადღება!

ქ. დედოფლისწყაროში, ნიკორციხის ქ. N62-ში, არმისული ბამის ტერიტორიაზე, ყოფილი ოლიფის ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე ინკუბატორი „ქარიშხალა“ გთავაზობთ ჩვეულებრივი ქათმის, ხარკოს ჯიშის ქათმის და იხვის ერთდღიან, ორკვირიან, სამკვირიან წიწილებს. ინკუბატორი ფუნქციონირებას იწყებს 1 მარტიდან. საწარმოში უმაღლეს დონეზეა დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და დამონტაჟებულია სტანდარტით შესაბამისი ინკუბატორის საჩეკი დანადგარი, სადაც ასევე დაცულია ტენიანობა და ტემპერატურის რეჟიმი. გარდა წიწილის შეძენისა, შეგიძლიათ მოიტანოთ იხვის, ქათმის, ბატის, ინდაურის, ციცარის, ხოხბის კვერცხები. გისურვებთ წარმატებებს.

საკონტაქტო ტელეფონებია:
591 01 81 30, 555 11 00 65, 599 18 00 65.

ამინდი დედოფლისწყარო

ორშაბათი 06.02		სამშაბათი 07.02		ოთხშაბათი 08.03		ხუთშაბათი 09.03		პარასკევი 10.03		შაბათი 11.03		კვირა 12.03	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
4 °	3 °	6 °	5 °	6 °	4°	7 °	4 °	7 °	4 °	7 °	6 °	8 °	6 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.